

თანამშრომლობითი უნარების გენერალიზება ინტეგრირებული კლასიდან  
საკლასო ოთახში აუტიზმის დროს

ნინო კაპანაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა:

(ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი)

სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული პროფესორი, PhD, BCBA.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

ნინო კაპანაძე

26.06.2019

## აბსტრაქტი

კვლევის მთავარი მიზანი იყო დაედგინა, რამდენად ახდენს აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეები ინტეგრირებულ კლასში დასწავლილი თანამშრომლობითი უნარების გენერალიზებას, ტიპური განვითარების თანატოლებთან საკლასო ოთახში. კვლევა ჩატარდა ერთი შემთხვევის ანალიზის გამოყენებით, სადაც საკვლევ ცვლადს წარმოადგენდა თანამშრომლობითი უნარები, აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებთან. მონაწილეთა ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრა 6-დან 8 წლამდე. კვლევაში მონაწილეობა მიიღო აუტისტური სპექტრის მქონე 4-მა მოსწავლემ, აქედან 3 მოსწავლე იყო ბიჭი, ხოლო 1 - გოგო.

კვლევა განხორციელდა ქალაქ თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში, სადაც ფუნქციონირებს აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის ინტეგრირებული კლასი.

კვლევაში გამოყენებულია: ენისა და დასწავლის ბაზისური უნარების შეფასების ინსტრუმენტი (The Assessment of Basic Language and Learning Skills - The ABLLS-R). აღნიშნული ინსტრუმენტით აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლის შეფასება განხორციელდა 3 -ჯერ, 2 თვის ინტერვალით, როგორც ინტეგრირებულ კლასში, ასევე ასაკის შესაბამის კლასში.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ინტეგრირებული კლასის მოდელი ხელს უწყობს აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოსწავლეთა თანამშრომლობითი უნარების დასწავლას და შემდგომ მის გენერალიზებას ასაკის შესაბამის კლასში.

**საკვანძო სიტყვები:** აუტისტური სპექტრის დარღვევა, გენერალიზება, ინტეგრირებული კლასი, თანამშრომლობითი უნარები.

## Abstract

The survey aimed at clarifying how the generalization of cooperative abilities reveal in the students having Autism Spectrum Disorder while communicating with typically developing students in the integrated classes. The survey was conducted with the help of pre-experimental method ( analysis of one condition ) , in which cooperative abilities must had been examined in the students having Autism Spectrum Disorder.

The age of the participants ranged between 6-8. 4 students having Autism Spectrum Disorder took part in the survey, 3 of them were boys, only one girl.

The survey was conducted in the public school number 55, in Tbilisi, where are so many integrated classes for students having autism spectrum disorder.

The assessment of basic language and learning skills - the ABLLS-R is used in the survey. With the help of this instrument students having Autism Spectrum Disorder and typically developing students were assessed 3-3 times at an interval of 2 months.

According to the survey it was proved that the model of integrated class supports the comprehension of the cooperative abilities of the students having Autism Spectrum Disorder, and, then, process of generalization of it in the typically developing classes.

**Key words:** Autism Spectrum Disorder, generalization, integrated classes, cooperative abilities.

## მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს თინათინ ჭინჭარაულს, რომელიც კვლევის ყველა ეტაპზე ჩართული იყო და მეხმარებოდა მის განხორციელებაში.